



კთვების დროს

— მაკაბიეთ, გეთაყვა, ამ დაწესებულების თა-
ნამურომლები სად არიან?
— ბოლო გვერდზე ნახეთ!

№ 18 (1364) სექტემბერი 1971

• **სიხსუ** **ე**

ბათუმის 48-ე წელი ფასი 20 კპპ.



ჩვენთა მუსლი დრეკადობა დიდ ნიკოლოზ მუსხელიშვილს!

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი — ნიკოლოზ მუსხელიშვილს დაბადების 80 წელი შეუსრულდა.

მათემატიკის ოთხთავად აღსრულდა წელი ოთხმოცი...
გილოცავს მთელი მსოფლიო, მიკრო და მაკროკოსმოსი!
მზის ასაკამდე იცოცხლე (ნუ დაგვლევოდეს მისხალიც),
კვლავაც დაიბუარ სამყარო, კვლავ გახსენ ბჟენი ცისანი!



ახალციხური სიურპრიზები

ვახრობის წესების უხეში დარღვევების შესახებ

(ნინაგის რეილი)

რედაქციამ მიიღო სიგნალი მომხმარებლებისაგან, რომლებიც... კმაყოფილებას ვერ ფარავდნენ ახალციხის რაიონში ვაჭრობის წესების უხეში დარღვევების გამო...

მამხილებელ წერილებში დაუნდობლად იყო მხილებული ვაჭრობის იშვიათი ღონე, მომსახურე პერსონალის ღვთიანება, ზომა-წონაში უწონ-უზომობა, კვანტისანიტარია და სხვა.

ნინაგმა მოიმარჯვა ჩანალი, რეილის მონაწილენი სიმალის მიხედვით დავეწვეთ და პირველად იმ ძველ დაფეხვილ სარდაფს მივადექით, რომელსაც ახალციხელები, რატომღაც, სასადილოს ეძახდნენ. რა ეშმაკები არიან! — გაეგოთ თუ არა ჩვენი მზაკვრული სტუმრობის ამბავი, სასადილო სადღაც გაქროთ.

— მოასწარით ხომ გადამალვა, სადაა სასადილო?! — აღვშფოთდით ჩვენ.

— ა, ბატონო, აგერაა, მხოლოდ 1971 წლის პირველი კვარტალიდან რესტორნად გადაკეთდა! — მოიკატუნეს თავი მასპინძლებმა.

სხვის სიტყვას კი არა, საკუთარ თვალზესაც აღარ ვუჭერებდით. ძველ ნასარდაფაზე წამოვიმულა რესტორანი „სამცხე“ (გამგე ჯ. ბენდელიანი). ძალი პატრონს ვერა სცნობდა, სწორედ ისეთი ამბავი იყო. ეს რესტორანი კი არა, ათას ერთი ღამის ზღაპარია: კედლები ნიკალა ფიროსმანის რეპროდუქციებით მოხატული, ფერადი ფარნების ფეიერვერკი, ბუხარში სამწვადე ცეცხლის გუზგუზი... აქ ჰამით კი არა, მარტო ცქერით გაძლება კაცი. მოკლედ, რომ იტყვიან, გარედან მტერს უბრძავებს თვალზე, შიგნიდან კი... თუმცა ნუ აგჩქარდებით, მოთმინებით დავუცადოთ საკბილოს, რა ღმერთი გაგვიწყრება, ამხელა რესტორანში სანიაგო ვერაფერი ვიპოვოთ!

დაჯდომა არც კი გვაცალეს, ისე დაგვადგათ თავზე შავ ფრაკში ელეგანტურად გამოწყობილი მიმტანი, რომელიც ესტრადის კონფერანსიეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ოფიციატს.

— რას ინებებთ, პატივცემულნი? — კინაღამ ჰკუთხე შეგვშალა მისმა გადამეტებულმა თავზიანობამ, მაგრამ იხტიბარი არ გავიტყვით და საკონტროლო სადილი შევუკვეთეთ. „ამ წუთში“, — შეტრიალდა მიმტანი სამხედრო წესით და სამზარეულოს მიაშურა. ჩვენ კი ლოღინისათვის მოვემზადეთ და, დროს მოსაკლავად, ყურნალ-გაზეთებს ვეცით, მაგრამ ვინ გაცალა რამის წაკითხვა, უცხად გაივსო სუფრა: სუკის მწვადებით, ცოცხალი თევზით, ახალციხური ხაჭაპურებით, ყველით, პურიით და კეთილი გულით...

— რა ამბავია, შე კაცო, გვაცალეთ სულის მოთქმა! — ვუსაყვედურეთ მიმტანებს — სოსო მამუკაშვილს და ვიქტორ მასტინენკოს, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიჩქარეში.

ხასიათი მთლად წაგვიხდა, როდესაც რეილის მონაწილეებმა თითები წაიკვნიტეს ლობიოს ჰამის დროს.

— ახლავე გამოუძახეთ შეფ-მზარეულს!

შეფ-მზარეული იმ წუთში ჩვენთან გაჩნდა.

— თქვენი გვარი? — ვკითხეთ და უბის წიგნაკი მოვიმარჯვეთ.

— დონადე ვახლავარო, ბატონო!

— დონადე კი ყოფილხარ, ჩემო ძმაო, მაგრამ ამ დონეზე კერძების დამზადება სად ისწავლე?

— თბილისის კულნარულ სასწავლებელში, ბატონო!

— მეგრე, შეიძლება ასე? შენს დამზადებულ კერძებს კინაღამ თითები ჩავატანეთ, ვინ მოგცემს მაგისთვის ღინ-მელღებს?

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, მე ჩინიცა მაქვს და მედალიც, სწორედ დედაქალაქის რესტორან „არაგვის“ ჩატარებულ კულნარული ნაწარმის გაყიდვაზე დამაჯილდოეს მედლით.

მეზობელი მაგიდიდან გულმოსული კლიენტის ყვირილი შემოგვესმა:

— ეს არის კლიენტის გემოვნებისათვის ანგარიშის გაწევა? ეს არის მომსახურება?! მე კატლეტი პურის გამოვია, ეს კი ცარიელი ზორი და კვერცხია, ვის უხვევთ თვალზეს?.. შეჩვეულს ნუ მოაკლებთ, ეს მაინც არ გაგიგონიათ?!

რა თქმა უნდა, ჩვენ ისევ მოვიმარჯვეთ ჩანგალი და ახლა ანგარიშის გასწორებას დაველოდეთ, რომ მაშინ მაინც გავვესწორებინა მათთვის საბოლოო ანგარიში, მაგრამ კაპიკ-კაპიკ ნაანგარიშევი ანგარიში რომ წერილობით მოგვართვეს, ამან მთლად აგვირია გზა-კვალი. წარმოიდგინეთ, იმდენად გათამამდნენ, რომ ხურდაც დავგიბრუნეს და მდლობაც გადაგვიხადეს. რაღა გვეთქმოდა, ხელმოცარულები გარეთ გამოვედით და ახლა ახალციხის № 1 სამწვადეს ვესტუმრეთ ფაქტების დასადასტურებლად (გამგე ბ. ჩილინგარიანი). ვიფიქრეთ ენახოთ ერთი რა ნომერ პირველი სამწვადე ბრძანდება-თქო. ჩვენმა აღშფოთებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა... თქვენ წარმოიდგინეთ, ხინკალში აღმოჩნდა... ხორცი?!

რა უნდა გვექნა? რეილის ჩავარდნას ვინდა ჩიოდა, კინაღამ ენაც ჩავვიფარა მუცელში, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გავიტყვით: ახლა სამრეწველო მაღაზიებს შევესიეთ. აქ კი აშკარად წავაწყდით გადამალული საქონლის დახლებზე გამოფენისა და ღია წესით ვაჭრობის აშკარა ფაქტებს!

შემოწმების გაგრძელებას არავითარი აზრი არ ჰქონდა. საგანგაშო სიგნალებში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა და დადგინდა შემდეგი: ახალციხეში უხეშად „არღვევენ“ ვაჭრობის იმ წესებს, რომლებსაც წლების განმავლობაში გულმოდგინედ გვაჩვენებდნენ და გვინერგავდნენ ზოგიერთი საზოგადოებრივი კვებისა და სამრეწველო ვაჭრობის ობიექტებში მოკალათებული ქორ-ვაჭრები.

რამ გამოიწვია ყოველივე ეს „უმსგავსობა“? ვინ არის „დამნაშავე“ იმაში, რომ ახალციხეში 1970 წლამდე სახელმწიფო სავაჭრო-საფინანსო გეგმების შესრულების ფაქტები ღრმა მოხუცებასაც კი აღარ ახსოვთ, ახლა კი სისტემატურად და გადაჭარბებით სრულდება დავალებები, „საქმეობის“ ახალციხის ოთხმოცდაცხრამეტივე ობიექტი მოწინავეთა შორის მოწინავეა და ჯილდოს ჯილდოზე იღებს, პრემიას — პრემიაზე, ახლახან კი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშაც დაისაკუთრა.

რახან მკვეთრად შებრუნდა საქმე, „ნინაგის“ იძულებული გახდა შეებრუნებინა თავისი „ჩანგალი“ და შეებრუნებული ფელეტონი დაეწერა. ყოველივე ამაში ბრალი მიუძღვის „საქმეობის“ ახალციხის განყოფილების მრავალრიცხოვან მეგობრულ, შრომისმოყვარე კოლექტივს და მის მმართველს, რომელიც 1970 წლიდან ჩაუდგა სათავეში ამ პასუხსაგებ საქმეს, აღრე პროფკავშირებში მუშაობის კარგი გამოცდილებით, უმაღლესი განათლების სამი დიპლომით, დიდი ენთუზიაზმით, მთელი სულითა და გულით.

ეს გახლავთ ნათელა ალექსანდრეს ძე წიქარაშვილი! არავინ იფიქროს, რომ ჩვენ „ძე“ და „ასული“ ერთმანეთში აგვირია, სწორედ ასე ეძახიან სიყვარულით თავიანთ მმართველს ახალციხეში. თუმცა კიდევ უფრო უკეთესადაა ნათქვამი ასეთ შემთხვევაში: ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ხვადილი.

P. S. იშვიათი ამბავია, რომ ერთობ იშვიათი არ იყოს!

ბ. დაუნია
ბ. რაპველიშვილი

ბრაკეტი ნივთივზე

მეზნად ბეგრი უსამართლობა: ის საგნები, რომელთა გარეშე ჩვენ ვერ ვიარსებდით, ენციკლოპედიაში საოცარი გულგრილობითა და მოკლედ არის აღნიშნული: „ნაგებობა, რომლის საშუალებითაც შეიძლება ზევით ასვლა და ძირს დაშვება“.

ო, კიბე! გვაპატიე ჩვენი უმადურობა, რადგან შენს შემქმნელს მხოლოდ მაშინ მოვიხსენიებთ, როდესაც ქოშინით გული ამოგვივარდება და ვლიდოლს ვლიდოლზე ვუღაპავთ.

კიბის გარეშე კაცობრიობაც არ იქნებოდა: ადამსა და ევას ღვთისმოსიანობა და ვაჟის ხის გარშემო ტრილი და ნაყოფის შეჭმის სურვილით წერწყვის ყლაპვა, რომ არ ყოფილიყო... დიას, ჩემო მკითხველო! მსოფლიოში პირველი კიბე ადამსა ააგო, თუმცა ამის შესახებ „ბიბლია“ არაფერს გვაუწყებს. შემდეგ კაცობრიობამ კიბეს სხვადასხვა დანიშნულება მიუჩინა. მოზეიმ ძველი რომი, კეისრები ტრიუმფით ადიან მარმარილოს კიბეებზე. შუა საუკუნეებში იერარქიული კიბეების მცნება გამოიკონეს. წარმოიშვა კიბის ლირიკულ-ინტიმური ვარიანტი — ხომ გახსოვთ, რამდენი ტკბილი წუთები მიანიჭეს მათ კოშკებში გამოკეტილი რაინდების ცოლებს?

რამდენი კარიერისტული ოცნება აღორძინდა და დამსხვრა სამსახურებრივ კიბეებზე? პატივმოყვარეობის დაქაფოვებისათვის საჭიროა პიედესტალზე ასვლა. მამაცობის დასამტკიცებლად კი საჭიროა გახდეს ალბინიტი — ჰკვეთე კიბეები სალ კლდეში და აჰყევი მით, სადმე ხანძარი ხომ არ გაჩნდა? რა მოხდა მერე? ყოჩაღი მეხანძრეები თვალის დახამხამებაში აღმართავენ კიბეს... მოწყვნილი ბრძანდებით? არა უშავს, კიბეები ღვინის სარდაფის სივრცეში ჩაგყვანენ. მაგრამ არ გაცდეთ, უკან ამოსვლისას კიბეები ორჯერ მეტი რომ აღმოჩნდეს.

— კიბეები ღიღ სიამოვნებას მგვრიან, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს სახელგანთქმულმა მეცნიერმა და მზერა ააყოლა კიბეზე ამაველ ახალგაზრდა მემაქნე ქალის მოქნილ ფეხებს. ერთი სიტყვით, კიბეს მე ძეგლს აუუვებდი.

... ალბათ, ჩემს სურვილს თქვენც გაიზიარებთ, როდესაც გაიგებთ, რომ მე ამ სტრიქონებს სართულებს შორის გაფუჭებული ლიფტის კაბინაში ვწერ...

იური მოსაუვილი



— რამონტს მართო ეს არ ეყოფა, კიდეც გვაქლია მასალა, უფროსო!
— აჰა, ისიც ბომრით მოვიტანე!

საუბრალო ვარიაციები

მიკროფონმა ამიშალა სასიმღერო სადერდელი, და, ნურაგინ გაიკვირვებს, სხვებთან ერთად, მეც თუ ვმღერი... დღეს კაცს, ხმაც რომ არ გააჩნდეს, მომღერალი მაინც ჰქვია, მიკროფონი თუ ხელთა აქვს, უკვე ლაურეატი!..

„ი ა, ი ა“ — მთავარია, ხმა კი არა, ბაგე დია,
„ი ა, ი ა!“ — მიკროფონი გაჭირვების ტალკვესია.

ავტომბატი-ტელეფონი ყულაბაა, მხოლოდ რთული, მე ნომრებს ვვრფე, ის ხურდას კრეფს, შეჯიბრი გვაქვს გამართული. ამას წინათ ამამღერა, მათქმევინა ბაიათი, ასე შემასწორებინა მან „დიელოს“ ვარიანტი:

„გახსოვს, მე რომ ნომრებს ვვრფედი, დიელო!..
შენ განზრახულს მისრულებდი, დიელო!..
სხვებთან თუ ვერ მაერთებდი, დიელო,
ხურდას მაინც მიბრუნებდი, დიელო!..
ახლა, როცა ყულაბაში, დიელო,
დაუწყია ხურდას ცვენა, დიელო!..
ის სათქმელი, უწინდელი, დიელო,
აღარც მე მაქვს, აღარც შენა, დიელო!

საგზური და შევბულება ერთადაა მუდამ კარგი, წელს დამპირდნენ, გაგიშვებთო, შეკრული მაქვს ახლაც ბარგი... შევბულება მომცეს, მაგრამ საგზური ვერ გაიმეტეს, ადგილკომი გულს არ მიტეხს, ახლაც ასე მაიმედებს:

„...ჯერ არ იქნება გვიან,
არ მსურს, დაგჩაგრო, ბოლოს და ბოლოს!..
შენ შევბულება ივლისში გქონდა,
მე საიანვროდ გაგიშვებ მხოლოდ!“.

გრიგოლ ჩიქვილაძე

სოხხალს ვერ მივუსნარი

ცოლი აგარაკზე მყავს და უსადილობამ ძალიან შემაწუხა. ის იყო, გუშინ-წინდელი ამოზელილი ლობიო ჯამში გადავიდე, ფაშარი პური ჩავიმტვრიე, რომ ტელეფონმაც დარეკა. გაისმა ჩემი ბიძაშვილის — ალმასხან ამაღლობელის ალელეგებული ხმა:

— ბიჭო, ახლაცე გამოქანდი! შენს გარდა, ჩვენიანები ყველანი უკლებლივ აქ არიან. დღეს, დილით, სალომე ბებია საავადმყოფოდან გამოვწერეთ. სამჯერ გიკითხა. არ დაიგვიანო! ვიცი, ძალიან გიყვარს, ჩქარა, თორემ ცოცხალს ვეღარ მოუწვრებ!

სასწრაფოდ ჩავიციე, ფრთები გამოვისხი და ოთახიდან იკაროსივით გაფრინდი. გზაში სულ იმაზე ვოცნებობდი, ცოცხალისათვის მიმესწრო. ვაგლახ, რომ დავიგვიანე! ჩემს მისვლამდე გათავებულყო. რა უნდა მექნა? ძალიან მიყვარდა და გამიგებთ, დანა პირს არ მისხნიდა. დანადგვრიანებულმა ქული მოვიშვლე, მაგიდას მივუჯექი, სასოწარკვეთილმა ნათესავეებს ცივად ავხედ-დავხედე, თორნის პურს ვეძგერე გამგელებული და შავი ხიზილალა ზედ ნაბადივით გავშალე.


— ბიჭო, მინდვრის ლობიო ხომ არ არის, — შემეყვია ულვაშგადახლართულმა თამადამ და ჯიხვის მეორე ნახევარი არმალანივით გამომიწოდა.

უეცრად სალომე ბებია კირისუფალივით შეჰკივლა, სავარძლიდან გადმოესვენა და იატაკზე ცოცხალ-მკვდარი მიესვენა. გრძნობადაკარგული მოხუცი სასწრაფოთი სასწრაფოში გავაქანეთ. თურმე, ცოცხალით მოწამლულიყო...

რა არ ვიღონეთ, მაგრამ ვერ გუშველეთ. დაისი იწურებოდა, როცა საბრალომ სული დალია. იმ საღამოს, ჩემს გარდა, სუფრის ყველა წევრი ცოცხალმა მოწამლა... კიდეც კარგი, დავიგვიანე და ცოცხალს ვერ მივუსწარი!

ახლა მივხვდი, რატომ იგვიანებს ხალხი სუფრაზე!

თენგიზ პირველი



— თუ ქალი ვყოფილვარ, მავ თათბირებსა და კრებებს გალაგებენ!



უბამსტორ

ნახ. მ. კუთხიანი

პიოტრი პეტროლია

დიდას პონოლოგი

ჰა, რა ამბავში არიან?! შრომის გმირები. გავხდითო, მთელი ქვეყნიერება ჩვენ გვილოცავსო. შენი შაქარა ხომ თავი და თავია შრომაშიო. დიდი ზარ-ზეიმი გაიმართა სოფელში. ამ ხალხის ენაპირმა რაღა არა თქვა ჩემი შაქარას საქებრად. გმირების დედა ხარ, დედო, მითხრა რაიკომის მდივანმა. შაქრო, კაცო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი: გულად მებრძოლზე მშრომელი სამი გაფრენით მეტიაო.

ახლა ჩემი რძალი! სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და ეგეთიო! ახლა დედობითაო, სამი შვილი გაზარდა, სამი შვილი ხუმრობა ხომ არ არისო. შვილები და რა შვილებიო, სამივეს უმაღლესი დაამთავრებინაო. ახლა მეოჯახე და დიასახლისიო, მაგისტანა ტყუილიაო.

დიდ ალტაცებაში არიან ჩემი შვილი და რძალი: ხან ერთის სურათს დახატავენ გაზეთშია და ხან მეორისას. ქვეყანა ამათია, ქა! იმიტომაო, რომა სამშლვარსიქით და-მსხდარან. რაც კაი ღვინისმსმელი კაცები არიან და უთქვამთ: აბა, მთელი დედამწის ზურგზე ვისი დაყენებული ღვინო უფრო უკეთესიაო. აქაურებიც დაძრულან და წაუღიათ ჩვენებური ღვინო. უსვამთ ღვინო და უთქვამთ: რომელი უკეთესი? რომელი და, კარდანახულიო, ამასაო ფრანციკული ღვინო ვერ აჯობებსო. ჯილდო და ქალაღი გამოუგზავნიათ...

ერიპა!... ჩვენ რაღას ვაკეთებდით? შრომის მეტი რა ვიცოდით, მაგრამ ჩვენი გმირობა ვის უთქვამს?

...ჩამოგვირბენდა ნიკა ტეტელოშვილი, შემოგვძახებდა უბნის ქალებს, შაგვყრიდა და გავიკრიფებოდით მინდვრისაკენ. იმსიშორ გზაზე მუხლებს დაეწყვედით, ვიმუშავებდით და, ბინდისას, ძლივს მივალწევდით შინა. ახლა მანქანით ჩაბრძანდებიან ვენახშია და მინდორშიც და მზე ჯერ ისევ მაღლაა, რომ ამოქრიალდებიან მანქანით სახლში. შენზე მეტი ვიშრომეთო და შენზე მეტი მოსავალი მოვიყვანეთო! მანქანითა ხნავენ და თესავენ, გენაცვალეთ, მანქანითა მკიან და ლეწავენ და შენზე მეტი მოსავალი მოვიყვანეთო. ცაც მაშინ იყო ღმერთგამწყრალო, იქამც იყოს და მოსავლის აღების წინ სეტყვა ხელს დაგვაბანინებდა ხოლმე მოსავალზე.

...სამი შვილი გააჩინა და გაზარდაო. სამი შვილი გაკვირვებით ამოდენა სახლში, ამოდენა ეზოყურეში, სამი შვილი! დროს დაუდგეს თვალი, თორემ სამი შვილი გამიკვირდებოდა?

ეგეთი შეძლება მქონოდა! შიმშილი ამათ არ იციან და სიტყვლე.

— ჯამე! ჯამე! — ჩასძახიან ჩემს შვილიშვილსა. აბა, დიდი პირი გააღე, აბა, სამხეცეში დათვმა რამოდენა პირი გააღო. დათო ბიჭი კი უპერს კბილებს, რაც ძალა და ღონე აქვს.

აბა, თუ დედა გიყვარსო, აბა, თუ დიდი ბებია გიყვარსო. მაშ, შენ დიდი ბებია არა გყვარებიაო.

ქა, გაგონილა? გაანებეთ ყმაწვილს თავი-მეთქი, ვეუბნები, რო შიოდეს, თვითონ შეგაწუხებდათ-მეთქი. არ ეყურებათ ჩემი სიტყვა და...

...ბალოს რა გააძღვბსო, დედაჩემი იტყოდა ხოლმე და გამოგვიზოგავდა საქმელს, ხეალისათვისაც დაიტოვებოდა ლუკმაო.

...კარგი დიასახლისიაო! ქა, რატომ არ იქნება კარგი დიასახლისი? ჩემსავით ზურგი გადაეყვლიფება წყლის ზიდვით თუ რა. კედლებიდან მოსდით ცივი და ცხელი წყალი. ცეცხლის დახთება დასჭირდებათ თუ ნაცრისა და ბოლისაგან სახლი გაეჭუჭყებათ? მე შენ გეტყვი, სარეცხის დარეცხვაზე გასძვრებათ ხელზე ტყავი! მანქანა და იმის ჯანი! რაღაცა ჭიმიდაო, ჩაპყრიან წყალში და სარეცხი გამოდის, როგორც ბამბა!

ნასწავლები არიან! მე აღარ ვიყავ ნასწავლი? სოფელში, ჩემს მეტმა, ვინ იცოდა წერა-კითხვა? მერე რამდენს ვასწავლე, მაგრამ მე არავინ დამწერა გაზეთში.

რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, რა გავაკეთო, რომ მეც ქვეყანაში გავერიო? მწნილს გამოვიყვან ისეთს, მწნილის უნახავი გახდება კაცი, ლობიოს მოგხარშავ და შევანელებ თითხასაკვანეტს. ზღაპარს ვიტყვი, ნამდვილსა ჰგავდეს, შოთაშურს დავაქრავ... ამისთანებში რომ იყოს შეჯიბრება, ჩემზე წინ ვის გავუშვებდი!

ლალი მარტაშვილი



— სულ რომ საქმეზე გიპირავს თვალი, განა რამდენი წლისა ხარ, გერიკასო?


— შენა, გიჭო, გუზუბის თვლა მოგწყინდა და ახლა ჩემი წლების თვლას იწყებ?



— რა უცნაური ახალგაზრდობა გვეზრდება: ამათ ხელში ვერც იმას გაიგებ კაცი, ზღვაზე ხარ თუ გაკურიანში!



— აწი მაინც მოიპყნენ, ბატონო ამბორონი, სამოთასიანი ბინა მიბილიათ!
— სამივე მოთახში ცოლმა ბოროლსა და ფაიფურის ბაშუ-ფენა მოაყუო და შიგ ფმსს არ გავაგმომინებს...



ნახ. ზ. შირცხალაშვილი

შემოვიღა 1977 წლის 6. X



მთავარი რედაქტორი ნოდარ ღუმუხაძე

საოგს სახელისა მოსეპა...

სტუდენტობის წლებში არასდროს გამოსულა სიტყვით, არაფერი წამოვროშო და სახელი არ გამიტყდესო. ასპირანტობის პერიოდში თავს არიდებდა თავისი აზრის გამოთქმას, იქნებ უაზრობა ეთქვა რამეთუ. დოცენტობის პერიოდში „სი-დარბაისლით“, „თავდაპყრობით“ ფარავდა უცოდინარობას. ნაცნობ-მეგობრებთან წერილის წერასაც შეეშვა, ვინმე წერტილ-მიმეგებში დამიჭერსო. პროფესორობის პერიოდში საერთოდ დამუხრდა, ვაითუ შეცდომა წამომცდეს და აშდენი წლის თავდაპყრობითა და ტანჯვით მოპოვებული ღიდება ერთ წამში წყალში გადავყარო...

მასზე ამბობდნენ: ერთი უთქმელი, თავმდაბალი და მიმიეკაციაო.

ნოვადი ბარათია

ნიანგის ინფორმაციები

მერის ორმო (სიღნაღის რ-ნი)

ჯუშაბანში გამგე გახლდათ რაფო ალადაშვილი...

ქერის საწყობს ჰამდა, ხრავდა კაცი — მაღაშლილი. ათას ოცი მანეთისას ქერს რომ ძირი გავარდა, რეფო ქერის თბილ ორმოდან ცივ ორმოში ჩავარდა.

შარბანი შარაგზა (ყვალტუბოს რ-ნი)

ტაჩირას და შაბანთში

შარაგზაა შარბანი, ჰაობივით ჩავითრევს და ვერ ამოხვალ შარვლიანი. შიგ ჩაგრჩება ტუფლი, წინდა, შეგიფერავს ლაფი საცვალს... ამოხვალ და, სასაცილო ჩურჩხელა ხარ, კაცის ნაცვალა!


ორი საათი (თბილისი)

ორ საათს ვიფრინეთ მზით სავსე თბილი ცით, დავტოვეთ მოსკოვი და აგერ... თბილისი! დავფრინდით... და მერე ხელჩანთებს, ჩემოდნებს ზეცისქვეშ ბაქანზე ორ საბათს ველოდეთ!

ბაიოზ შავრუაშვილი

მოსალოდნელი სასწაული (სოფლის რ-ნი)

სოფელ ჩხარს და სპომოჭუმს დარდი ახლავთ დიდი: გზებზე ხრეში არ უძევთ და მდინარეზე — ხიდი. პირიდებიან: გექნებათო გზაც და ხიდიც კოხტა. რა სჭობს, მართლა თუ ასეთი სასწაული მოხდა!



ნახ. ჯ. ლოლუასი

— ახალ უფროსს რატომ არ შესაღებია?
— ჯერ არ მიცი, რომელი ხელი ჩამოვარტევა: მარჯვენა თუ მარცხენა.

მოდიტ, მესტუმრეთ!

ვერ იბრუნებდა თავი კუდს, ვცხოვრობდი ისეთ ბინაში, მაინც პირნათლად ვიყავი უამრავ სტუმრის წინაშე. მოყვრისთვის სუფრა მზად მქონდა, ვეგებებოდი გულგაშლით, მას ჩემს ლოგინში ვაწვევდი, მე გავდიოდი „კუხნაში“. ბინა მივიღე ახალი, გამოვიჭიმე პრინცივით, ჩემს სახლში ჭერიც იცინის, უკვე სიღვდრიც იცინის... მაგრამ სტუმარი აღარ ჩანს, საცაა, გადავირევი! მოდიტ, მობრძანდით, მესტუმრეთ, გეძახით, როგორც ირემი! ახალი ბინა რა გახდა, მობრძანდით, ხალხი არა ხართ?! გულს ამოვიღებ, გაგატანთ, სულს ამოვიღებ, გაგატანთ! სადა ხართ ნათესავები, მეგობრები და ძმაკაცი? მესტუმრეთ, თორემ ამ ბინას იმ ძველ ბინაზე გადავცვლი!

ნოდარ შამანაძე

პიიპრაქები

სიმძიმე სიმსუბუქისა

— ვარ მსუბუქი კრიტიკოსი, თავზე დამსვი...

— ვიცი მეცა: ემაგ სიმსუბუქეშია სწორედ შენი სიმძიმეცა!

კრიტიკის კრიტიკა

ლექსი შენ გაქვს უკეთესი, პატივი კი — სხვას, თითქოს შენი ნაკადული არ ერთვოდეს ზღვას!

რომანის ბედი

მიზნად ავიღე შენგან ლტოლვილი შენი მკითხველის გულის ფიცარი, ეტყორცნე ისარი შენსა მგმობელსა და ნამსხვრევებად იქცა... ისარი!

აპაი პელოვანი

სარედაქციო კოლეგია:

ზ. გოლჭვაძე (პ/მზ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მაღალაშვილი, ბ. ნიუნიაშვილი (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ი. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველიძის პროსპექტი № 42.

Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.

საერთო განცხადებების 93-10-78.

საბ. კვ. ცვ-ის გამომცემ-ლოგა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაწყობად

25/VIII-71 წ.

ხელმოწერილია დასა-

ბეჭდად 22/IX-71 წ.

გადაცემის ზომა

70×108/8.

ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-

ცელი 1,

სააღრიცხვო-საგამომცე-

მოლო თაბახი 1,4.

საბ. კვ. ცვ-ის გამომცემ-

ლოგის სტამბა,

თბილისი, ლენინის ქ.

№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ

ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-

НА № 14

შეკვ. № 3036.

შეკვ. № 02140.

ბირაჟი 127.250.



11
1971

71-622

საქართველოს
საზღვრო

ИНДЕКС 76137



ზ. ლოლუა

— კაცო, ჩვენი სოფლები რა იქნენ, ჰა?
— პირველ გვერდზე ნახე!

КОНТРОЛЬНЫЙ
ЭКЗЕМПЛЯР

